ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი *07.08. 2019 წ.*
11.სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) თენგიზ ქერქაძე - სხდომის თავმჯდომარე- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ბ) მიხეილ მელუა - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი

ბ) მიხეილ ცინცაძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი

დ) ბადრი ქურიძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი

ე) იათამზე წილოსანი- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი

სხდომის თავმჯდომარე: თენგიზ ქერქაძე

მდივანი: იათამზე წილოსანი

დღის წესრიგი

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ

მომხსენებელი: თენგიზ ქერქაძე

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ მერისათვის წინადადებების წარდგენა და მათი განხილვა.

მომხსენებელი: თენგიზ ქერქაძე

განხილვა:

მომხსენებელმა *დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით* *აღნიშნა რომ მრჩეველთა საბჭოს მდივანმა მიხეილ ცინცაძემ მიმართა მრჩეველთა საბჭოს თხოვნით, რომ მისი კანდიდატურა საბჭოს მდივნის თანამდებობაზე შეცვლილლიყო და არჩეულიყო საბჭოს სხვა წევრი.* მრჩეველთა საბჭოს წევრმა ბადრი ქურიძემ მდივნის თანამდებობაზე განსახილველად სხდომას შესთავაზა იათამზე წილოსანის კანდიდატურა. საბჭოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა საკითხს.

მომხრე-5; მოწინააღმდეგე-0.

საბჭომ დაადგინა:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის თანამდებობაზე არჩეული იქნას იათამზე წილოსანი.

მომხსენებელმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებისა და საზოგადოებისაგან მიღებული წინადადებების საფუძველზე მიზანშეწონილია მერს უმაკლეს ვადაში გადასაწყვეტად წარედგინოს შემდეგი საკითხები:

მამათის ადმინისტრაციულ ცენტრში ინგრევა და იძარცვება კულტურის სახლის შენობა. შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და ვერ ხერხდება ელემენტარული საკითხების გადაწყვეტა. აუცილებელია შენახვის მიზნით შენობიდან გამოტანილი იქნას ინვენტარი. გდასაწყვეტია ასევე ხანძრის შედეგად დაზიანებული საექიმო უბნისა და ყოფილი უნივერმაღის შენობების საკითხი.

უმოკლეს ვადაშია გადასაწყვეტი გვარჯალაძისა და ჭავჭავაძს ქუჩების ასფალტირების საკითხი. აღნიშნული ქუჩებით სარგებლობენ სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები.

საჭიროა მწვავედ დაისვას საკითხი ყოფილი კინოთეატრის "შენობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადმოცემის შესახებ. უნდა შემუშავდეს წინადადებები მისი რეკონსტრუქციისა და მის ბაზაზე ახალგაზრდული ცენტრის აშენების თაობაზე.

მოსაწესრიგებელია ყოფილი უნივერმაღისა და მისი მიმდებარე შენობის მეორე სართული.

მუნიციპალიტეტში ტურისტული სექტორის განვითარების მიზნით შემუშავდეს წინადადებები სოფელ ორაგვეში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის. პირველ რიგში უნდა მოწესრიგდეს საგზაო ინფრასტრუქტურა.

სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს ქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტუალეტის საკითხი.

საბჭოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ დაადგინა: დასახელებული წინადადებები წარედგინოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ალექსანდრე სარიშვილს.

კენჭი ეყარა საკითხს.

მომხრე-5; მოწინააღმდეგე-0.

თენგიზ ქერქაძე - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

იათამზე წილოსანი- მრჩეველთა საბჭოს მდივანი